საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №29

ქ. ბათუმი 23 თებერვალი, 2018 წ.

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლისა და ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად ბსუ-ში ჩატარებული საპილოტე ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის (22/12/2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა **დანართი 1**-ის შესაბამისად;
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. **დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.**

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.
დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 23 თებერვლის №29 დადგენილებით

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებები

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია მისი საქმიანობის სპეციფიკით და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთან, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, სამეცნიერო პოტენციალთან.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **მიზანია:** სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაცია.

ამოცანები:

1. გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა;
2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
3. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;
4. უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია.

გადაჭრის გზები:

1) სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მეცნიერ-თანამშრომლებისა და ადმინისტრაციაში დასაქმებული პირების მივლინება პარტნიორ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტების ასათვისებლად და გამოცდილების მიღება-გაზიარების მიზნით. საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირება სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში;

2) ექსპერტების მოწვევა და ტრენინგებების ჩატარება საგრანტო და საკონკურსო პროექტების გამართულად შედგენისა და განხორციელების მიზნით;

3) ერთობლივი (მათ შორის უცხო ენაზე) საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება; მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენაზე მომზადებული სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა;

4) ბსუ-ს სტუდენტებისთვის უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში, ხოლო უცხოელი სტუდენტებისთვის - ჩვენს უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის განხორციელების წახალისება;

5) უცხოენოვან სამეცნიერო ნაშრომთა ბაზებზე წვდომის მიზნით საბიბლიოთეკო ქსელებსა და კონსორციუმებში გაწევრიანება;

6) საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობების გაფართოება;

7) *საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობების გაღრმავება, პროექტებში მონაწილეობა;*

8) დისტანციური სწავლების დანერგვა და განვითარება;

9) საერთაშორისო ფორუმების/კონფერენციების დაგეგმვა სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და მკვლევრების აქტიური ჩართულობით;

10) უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლების ორგანიზება და აქტიური მონაწილეობა პარტნიორ უნივერსიტეტებში მოწყობილ ანალოგიური ტიპის სკოლებში;

11) უცხოელი სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და მკვლევრების სერვისის სრულყოფა. სრული საინფორმაციო პაკეტის შექმნა;

12) ბსუ-ს პერსონალისთვის უცხო ენების შესწავლისა და კომპეტენციების ზრდის ხელშეწყობა.